18.06.2018 № 1/12/452/ო.ნ.

ს/ს ,, ორბელი 91"-ს
გენერალურ დირექტორს
ბატონ ბ. ჩხაიძეს
ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. 5
ტელ.: 2 71 41 06
599 50 41 70

თქვენ 13/06/2018 წლის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ აღნიშნულ მისამართზე, ქ. თბილისი ქინძმარაული N 5 და 10 ს/კ (01.19.33.001.111) ტერიტორიაზე, გადის შ.პ.ს „ახტელი"-ს მიწისქვეშა კომუნიკაცია.

თქვენი მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნული მიწისქვეშა კომუნიკაცია არ გიშლით ხელს სამუშაოების წარმოებაში.

შ.პ.ს „ახტელი" არ არის წინააღმდეგი სამუშაოების ჩატარების იმ პირობით, რომ სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ, გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი. სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ, მიუხედავათ ბრალეულობისა.
ტელ.: 11 00 00

დანართი: 1. შეთანხმება (დანართი #1)
2. ნახაზი 1 (ერთი) ცალი. (დანართი #2)

პატივისცემით,
დირექტორი /ნ. შარაშენიძე /

შემს: ლ. ნოზაძე
ტელ: 2 541 676

დანართი : #1

შ.პ.ს "ახტელი" თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

1.

დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს "ახტელი"-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის დასახლებულ პუნქტებში, ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

2.

დაშორება საპროექტო ხაზოვან ნაგებობასა და შ.პ.ს "ახტელი"-ს საჰაერო ხაზებს შორის, მათი ტრასის გასწვრივ, ნაგებობის განაპირა ხაზიდან, ტრასის ორივე მხარეს უნდა იყოს არანაკლებ – 0,5 მეტრის სიგანის ზოლი.

3.

შ.პ.ს "ახტელი"-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ სარპოექტო ხაზოვანი ნაგებობის ზემოთ, არანაკლებ 0.15 მ-ის დაშორებით, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი.

4.

შ.პ.ს "ახტელი"-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში სამუშაოები შესრულდეს ხელით.

5.

შ.პ.ს "ახტელი"-ს ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში, განმცხადებლის კომუნიკაციები მოთავსდეს შ.პ.ს "ახტელი"-ს ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ, არანაკლებ 0,2 მეტრის დაშორებით.

6.

წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს შ.პ.ს "ახტელი"-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების და/ან სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

7.

საპროექტო შენობა ნაგებობის და შ.პ.ს "ახალი ქსელები"-ს ხაზოვანი ნაგებობის დაშორება უნდა იყოს არა ნაკნებ 1 მ სიგრძის.

8.

იმ შემთხვევაში, თუ შ.პ.ს "ახტელი"-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:
დაუყონებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს შ.პ.ს "ახტელი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტით, (info@ak.ge) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის მეშვეობით.



ქინძმარაულის 5 და 10 ს/კ 01.19.33.001.111 მიმდებარედ

პირობითი აღნიშვნები:	
% —	საკანალიზაციო–არხი
●	საკომუნიკაციო–ჭა
▼	საკაბელო–ბოძი
●	საშუალედო–ბოძი
—o—	დამატებითი

შ.პ.ს ახტელი
პოლიტკოვსკაიას № 42
ტელ. : +(995) 32 11 00 00

მუშა ნახაზი სახაზო მეურნეობა			
კანალიზაციის სქემა		ფურცლები 1	ფურცელი 1
პრ. მენეჯერი		მ. თოხაძე	
პროექ. უხრ	[signature]	ლ. ნოზაძე	
შემსრულებელი	[signature]	ლ. ნოზაძე	

191/124-02
18.06.2018

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

მოგახსენებთ, რომ სს "თიბისი ბანკმა" განიხილა თქვენი განაცხადი უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.19.33.001.111) განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით (განცხადება: AR1598429), რომელიც წარმოადგენს სს „თიბისი ბანკის" იპოთეკის საგანს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ბანკი არ არის წინააღმდეგი უძრავ ქონებაზე განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები.

სს „თიბისი ბანკის" ჭავჭავაძის ს/ც N1 -ის ბიზნეს გაყიდვების კოორდინატორი
ალექსანდრე ძიმისტარიშვილი

00344

03/105-00
03.01.2018

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

სს „თიბისი ბანკის“ ი.ჭავჭავაძის გამზირის სერვისცენტრი #1-ის ადმინისტრატორი თინათინ თოთიბაძე (პირადობის მოწმობის #11IA08610; პირადი #01008000517) მოქმედი დირექტორის პაატა ღამბაძის სახელით, 2017 წლის 19 დეკემბერს გაცემული მინდობილობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი171468896; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B17129749, (27/11/2017 18:06:08) საფუძველზე, ანიჭებს უფლებამოსილებას, ი.ჭავჭავაძის გამზირის სერვისცენტრი #1-ის ბიზნეს გაყიდვების კოორდინატორს **ალექსანდრე ძიმისტარიშვილს** (პ/ნ01026013802; სერია 13IA95170) ხელი მოაწეროს ზემოთხსენებული სერვისცენტრის სახელით სერვისცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას, წერილს, ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის:

სერვისცენტრის მიერ გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას; საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას; იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის, გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესახებ დოკუმენტაციას;თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს, რაც აუცილებელი იქნება სერვის ცენტრის შეუფერხებელი მუშაობისთვის და ფუნქციონირებისთვის.

ალექსანდრე ძიმისტარიშვილს ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის“ ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მინდობილობა ძალაშია 2018 წლის 03 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

თინათინ თოთიბაძე
დირექტორი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
10295224850217

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171469896

რეგისტრაციის თარიღი

19.12.2017 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ დეკემბერს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის #7, მომმართა სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს „თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ პაატა ღამბაძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად პაატა ღამბაძემ (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, ბ/ნ #01023000307, ბარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ცხრამეტ დეკემბერს სს ,,თიბისი ბანკის" (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან სს ,,თიბისი ბანკის" შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღამბაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #78, კორ. #3, ბ. #10, ბ/ნ #01023000307, ბარათის # 16IA73661, გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) სს **,,თიბისი ბანკის"** ი. ჭავჭავაძის გამზირის #1 სერვისცენტრის ადმინისტრატორს **თინათინ თოთიბაძეს** (ბ/ნ01008000517), შემდეგში "რწმუნებულს", წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. 'რწმუნებული' **თინათინ თოთიბაძე** უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკი"-ს სახელით ხელი მოაწეროს ზემოხსენებული სერვისცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს, წერილს,ცნობასა და ხელშეკრულებას, მათ შორის, სერვისცენტრის მიერ გაფორმებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,იპოთეკის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,გირავნობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას და მის ცვლილებას,იპოთეკის,გირავნობისა და შეზღუდვის გაუქმების შესაბამის დოკუმენტაციას,თავდებობის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,ოვერდრაფტის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საბანკო გარანტიის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას,საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას და მის ცვლილებას და სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს,რაც აუცილებელი იქნება სერვისცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის.
2. ამ მინდობილობით **თინათინ თოთიბაძეს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს ,,თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში.
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასთვრამეტი წლის სამი იანვრიდან ორიათასთვრამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.
5. 'რწმუნებულს' უფლება აქვს ამ მინდობილობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები გადასცეს (გადაანდოს) მის მიერ შერჩეულ პირს.

პაატა ღამბაძე:

საზღაური: 10.00 ლარი (,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური: 2.00 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

საქართველო. ნოტარიუსი მედეა გვაზავა * GEORGIA. NOTARY MEDEA GVAZAVA * 01008018186